№ 199, სექტემბერი 20, კვირა 1892 სექტემბერი 20, კვირა № 199

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1892

„ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 19 სექტემბერი

გერმანიას ნახევარ მილიონამდე ჯარი ჰყავს მშვიდობიანობის დროს, ჯარი სამაგალითოდ გაწვრთნილი, ნასწავლი, სამხედრო წესსა და რიგს ისე შეჩვეული, რომ უკეთესის ნატვრა შეუძლებელიდაა. ომის დროს ხუთ მილიონამდე მეომარი ეყოლება. მაგრამ გერმანია ამას არა სჯერდება, თითქოს ცოტა იყოს ის აუარებელი ფული, რომელსაც ჰხარჯავს ნახევარ მილიონ ჯარის-კაცთა საომრად მზად ყოფნისათვის. მთავრობამ შეადგინა ახალი სამხედრო კანონი და მალე წარუდგენს რეიხსტაგს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ახალის კანონის ძალით ჯარში სამსახურის ვადა, სამის წლის მაგიერ, ორი წლიწადი იქნება დანიშნული. ასეთი ღონე მთავრობას მისცემს საბუთს მოუმატოს ჯარის რიცხვს წლიწადში 95,000 კაცი და რამდენისამე წლის შემდეგ მთელი გერმანია ერთ უშველებელ სამხედრო ბანაკად გადააქციოს. განზრახვა გერმანიის მთავრობისა იმდენად დიდია, რომ საცოდავ ხარჯის მძლეველთ ეხლავე გული უსკდებათ შიშით, როგორ შევიძლოთ ახალის ხარჯის გაძლოლაო. მართლაც, ხუმრობა ხომ არ არის! ახალის კანონის განხორციელებას წლიწადში, ზოგის გამოანგარიშებით, მოუნდება 100 მილიონი მარკა და ზოგის ვარაუდით კიდევ—150 მილიონი. მარტო ამ კანონს არა სჯერდება მთავრობა და გაჩქარებული ამაგრებს ერთს პატარა კუნძულს—ჰელჰოლანდს, რომელიც მდებარეობს ელბის ჩასართავთან და რომელიც გერმანელებს ინგლისელებმა დაუთმეს შარშან. ყოველივე ეს დიდს მოუსვენრობას ჰბადებს გერმანიის მკვიდრთა შორის, რომელნიც ჰშფოთავენ, გაოცებულნი შესცქერიან ერთმანეთს და ვერ გაუგიათ, სად მიგვიყვანს ასეთი გამუდმებული მზადება ომისათვის მაშინ, როდესაც ყველანი გაიძახიან, მშვიდობიანობა ევროპაში დაცულია და მის დარღვევას არავინ ემუქრებაო.

წვრილმან სახელმწიფოთა გარდა, არც სხვა დანარჩენი სახელმწიფონი აკლებენ ყურადღებას თავიანთ ჯარების გაწვრთნასა და მოუმზადებას მოსალოდნელის ომისათვის. საფრანგეთის სახელმწიფო კაცნი მზად არიან ყოველი მარჯვე ამბავი ხელზედ დაიხვიონ და საქვეყნოდ აღნიშნონ, ჩვენის ერის სახელს არავის გავალახვინებთ, გულ-დამშვიდებით შეგვიძლიან ეხლა თვალი-თვალს გავუყაროთ ხვალინდელს დღესაო. ხოლო რაკი ასეა საქმე, დრომდე თამამად შეგვიძლიან მივყოთ ხელი შინაურ ცხოვრების რიგიანად მოწყობასაო, ესე იგი მალე შემოვიღოთ ქვეყნისათვის სასიკეთო რეფორმებიო. სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა შემთხვევის გამო ილაპარაკეს ამ ზაფხულის დამლევს და შემოდგომის პირზედ პრეზიდენტმა კარნომ, ფრეისინემ, ფლოკემ, ბურჟუამ და ყველას ცხადათ ეტყობოდა ლაპარაკზედ, რომ დიდი იმედი აქვთ თავიანთის თავისა და გატეხილი გული ერთიანად გამთელებიათ.

მხოლოდ პატარა შვეიცარიაში და დიდს ინგლისში ამ ჟამად სულ სხვა ამბავია, ისეთი ამბავი, რომელიც არ მოგაგონებთ არც გერმანიას და არც საფრანგეთს. შვეიცარიაში თითქმის ყოველ წელს იკრიბებიან სწავლულნი და საქვეყნოდ ჰქადაგებენ ლაშქრობის ქინით გატაცებულთა მიმართ: დროა მოხვიდეთ გონსა, შესწყვიტოთ უზომო და დამღუპველი შეთოფიარაღება და მშვიდობის გზას დაადგეთო. წელსაც იყო შვეიცარიაში ასეთი კრება მშვიდობის მოყვარულთა და, ვინ იცის, მათი დადგება როდის მოიტანს სასურველს ნაყოფს.

ინგლისს ხომ სულ სხვა სიომ დაჰბერა გლადსტონის გამინისტრების შემდეგ. მეთაურნი ინგლისის ერისა ჯარის გამრავლებასა და ხარჯის მომატებისათვის-კი არა ჰფიქრობენ, არამედ მკვიდრის კეთილდღეობასა ჰზრუნავენ, იმასა ჰზრუნავენ, თუ როგორ მოვაწყოთ უფრო უკეთ ჩვენის ერის გაბედნიერების საქმეო. ეს საზოგადო სურვილი მშვენივრად არის გამოხატული რადიკალების მეთაურის ლაბუშერის წერილში.

„მე სულითა და გულითა ვარ მონდომებულიო, სწერს ლაბუშერი: ირლანდიელთათვის განზრახული სასიკეთო და დიდ-სულოვანი რეფორმა, რაც შეიძლება, მალე განხორციელდესო.

„იმპერიის საბედნიეროდ და ადგილობრივ მმართველობის საქმეთა წესიერად მსვლელობისათვის საჭიროა, ამბობს იგივე ლაბუშერი: რომ ირლანდია უჩვენოდ განაგებდეს თავისს საკუთარს საქმეებს, ხოლო ჩვენს საქმეებს ჩვენ განვაგებდეთ უიმათოდაო.

დღეს ინგლისის მეთაურნი კაცნი სხვის დაჩაგვრას, სხვის დამონავებას-კი არა, არამედ გაბედნიერებასა ჰფიქრობენ. მარტო ირლანდიისათვის არა სურთ თვით-მმართველობა, შოტლანდიაშიაც უნდათ შემოიღონ ეს სასიკეთო ცვლილება. დიდის ხნის გამოცდილებამ დაარწმუნა ინგლისის ერი, რომ ძალ-მომრეობა და ძალად მაცხონეობა დამღუპველი და წამწყმედელია ერისა და არა მარგებელი და მაცხოვნებელი. იმავე გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ადამიანს თავის თავზედ უკეთ სხვა ვერავინ მოუვლის.

აი სწორედ ეს ჭეშმარიტი და ღრმა აზრი აქვს საფუძვლად გლადსტონის ჰომრულს, ანუ იმ პროექტს, რომლის ძალითაც ინგლისის ღირსეულსა და დიდებულ მამულიშვილთ უნდათ მიანიჭონ ჯერ გუშინდელ, თავიანთს მტერს—ირლანდიას და შემდეგ შოტლანდიასაც სრული თავისუფლება, სრული თვით-მმართველობა, საკუთარი, ცალკე პარლამენტი.

ა. ფრონელი

ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მაზრის, ალთაგლის საზოგადოების სოფლებში ხოლერით ავად გახდა 3, გარდ. 2.

ახალციხეში 14—19 სექტემბრამდე ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 3, დარჩა 2.

ახალქალაქში 17 სექტემბერს ავად არავინ გამხდარა, არის მარტო ორი ავადმყოფი; სოფლებში გახდა 2, მორჩა 2, დარჩა 6.

სიღნაღის მაზრის სოფელ ველისციხეში ავად გახდა 13 სექტემბერს მარია მასაშვილი, რომელიც უკვე რჩება.

თელავის მაზრის სოფ. ჩიკაანში ავად გახდა 4, გარდ. 1, 13 სექტემბრისთვის დარჩა 3. სოფ. ახალ-გავაზაში ავად გახდა 2, გარდ. 1; სოფ. ძველ-გავაზაში 6—13 სექტემბრამდის ავად გახდა 12, გარდ. 6, მორჩა 6,

---

ფელეტონი

გზა დაბნეული ცხოვარნი

I

ლადო ქარაფშუტაძე ოც-და-ხუთი წლისა იქნებოდა, როცა ერთი საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და სტუდენტად აღიარებული თავისს სოფელში დაბრუნდა. ახლად „გაკურსოვნიკებულ“ ლადოს სოფელში მოსვლამ დიდი ჩოჩქოლი და ლაპარაკი გამოიწვია. ამის მიზეზი, რასაკვირველია, თითონ ლადო იყო, რომელიც შინ თუ გარედ ისე ამაყად იჭერდა თავს, ისე გაბღიძულ-გაბუებული დადიოდა, ისე დაფიქრებულ-დადარდიანებულად ეჩვენებოდა მჭვრეტელთ, რომ გეგონებოდათ, ქვეყნის სწავლასა და მეცნიერებას სულ ამ ერთის კაცის თავში მოუყრია თავიო და ახლა იმას აზრობს და ვარაუდობს, თუ როგორ გააბედნიეროს კაცობრიობა და ადამიანის შვილთ როგორ მოსწმინდოს თვალთაგან მწუხარების ცრემლიო. ყველა ამ სიკეთესთან ლადო ძალიან ლაზათიანი, ზორბა ტანის კაცი იყო და ტანთან ერთად ტანის სხვა ნაწილიც ზორბა და ლაზათიანი ჰქონდა. თუ რომაელების ანდაზას ირწმენდით და დაიჯერებდით, რომ საღ სხეულში უსათუოდ საღი სული უნდა ბინადრობდესო, მაშინ საკმაო იქნებოდა ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გენახათ ლადო და სრულის გულ-დაჯერებით გეთქვათ: „კაციც ამას უნდა ერქვას და ქუდიც ამას უნდა ეხუროსო“. ამიტომაც იყო, რომ მთელი სოფელი გაიძახოდა: „ძუძუ ვაწოვე და შვილი გამოვზარდეო, ლადოს დედას ეთქმისო“. ამ სიტყვებში ცოტა არ იყოს შურიც ერია, მაგრამ სოფლის შურიანობა ხომ აღარავისთვის ახალი ამბავი არ არის. ისე-კი, სულ-ქვეშ რომ სთქვას კაცმა, ლადოს, გარდა ჯანის სისაღისა და ახოვანებისა, საშურველი და სასურველი არაფერი ჰქონდა. ტანით ახოვანი ლადო გონებით მეტის-მეტად ქუცმაცი იყო, ჯანით ლომი—სულით ქათამი იყო. მიუხედავად ამისა ლადოს მაინც წილად ხვდა ერთ სამაზრო ქალაქში ცხოვრება და მოზარდ თაობის ზრდა და წვრთნა. ეს საქმე ლადოს იმდენად ეხერხებოდა, რამდენადაც კალატოზს დალაქობა და წერაქვს სამართებლობა, მაგრამ ეს რა ჩვენი საქმეა. ჩვენ ხომ დაკანონებული გვაქვს, რომ მხოლოდ ჩვენი საქმის წრე და საზღვარი ვიცოდეთ და სხვის საქმეში არ გავერიოთ. კეთილი. მაშასადამე, მეტს აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რა კეთილ-სინიდისიერად ასრულებდა თავისს საქმეს ლადო. ვეცდები-კი, რამდენადაც მოვახერხებ, გამოვაქვეყნო ლადოს მოქმედება და მოღვაწეობა გარეშე თავის საქმისა.

ლადო მივიდა თუ არა იმ ქალაქში, სადაც ამ უმეცარს კაცს მეცნიერების თესვა დაავალეს, მოირთო კოხტად ევროპულის ტანისამოსით, შეიძინა „ტროსტი“, გაიკეთა პენსნე და ვიდრე სასწავლებლის უფროსს გამოეცხადებოდა, იქაურ კლუბის მამასახლისთან წარსდგა, საწევრო ფული წარადგინა და წევრად ჩაწერის სურვილი განაცხადა. მამასახლისმა, რომელსაც ძლიერ მოეწონა ლადოს მორთულობა და სანახაობა და რომელსაც წევრი ცოტა არ იყოს ეძვირებოდა კლუბში, დიდის თავაზით და მართებულობით მიიღო ეს ჩინებული სტუმარი. ფულის მიღებაში ბარათი მისცა და საწევრო ბილეთიც უბოძა. თან ისიც აუწყა, რომ ამაღამ ჩვენს კლუბში „ტანცოვალნი ვეჩერიაო“. მობრძანდით, საზოგადოებას გაგაცნობთ, ჩვენი „დამები“ თქვენისთანა „კავალერს“ ცით მოვლენილ მანანად ჩასთვლიანო და სხვა და სხვა.

კლუბის მამასახლისისაგან ლადო ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა. სასიამოვნო ფიქრებს მიეცა. თავის თავს ლაპარაკი დაუწყო: ყოჩაღ ლადო! შენ ამ ქალაქში მანანა ხარ, ცით მოვლენილი მანანა, პირველი კავალერობა მოგელის, ჩინებულთა შორის რჩეული იქნები! Учитель географіи и математики, членъ клуба, первый кавалеръ, первый танцоръ, чего-же больше хотите! პრეფერანსის თამაშობასაც ადრე დავისწავლი, ღვინის სმაში ხომ აქ ბადალი არ გამიჩნდება и вотъ вамъ человѣкъ безъ малѣйшаго недостатка! სულელი ჩემი ამხანაგები, როცა უკანასკნელ კურსზედ ვიყავი და „ტანცაობის“ სწავლას შევუდექი, დამცინოდნენ. ახლა ნახონ, ვინ არის დასაცინი და გასაკიცხი, ლადო თუ ისინი! Глупцы!... ეე, რაღა ბევრი გავაგრძელო, მე ამ პატარა ქალაქში დიდი მეფე ვიქნები. დღეიდგან მე ახალი ცხოვრება დავიწყე, ე. ი. დღეს დავიწყე ცხოვრება, დღეს გამოვედი ქვეყანაში, დღეს გავერევი ხალხში. აქამდე რაც იყო, ცხოვრება-კი არა, სატანჯველი იყო. ბევრი ასეთი მარგალიტი აზრი წაუკითხა ლადომ თავისს თავს, ვიდრე ბინაზე მივიდოდა. აქ, რადგანაც კლუბში უნდა წასულიყო, მიწვა და ერთი ლაზათიანი ძილი გამოაცხო. ძილში სიზმრად ნახა თავისი მომავალი დიდება და ბედნიერება. ნახა, რომ ქალები აღმერთებდნენ და აპეფებდნენ, „დუშკას“ ეძახდნენ და არ იშორებდნენ. ნახა, რომ ყმაწვილი კაცები მის „უსპეხს“ შურით უყურებდნენ, მაგრამ ხელს-კი ვერაფრით უშლიდნენ, ვერაფერს აკლებდნენ. ნახა, რომ გასათხოვარის ქალების დედები მის სიძეობას ნატრობდნენ და ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ, არა, მე შემიძლიან უფრო ბევრი ქრთამი მივსცე და არა, მეო. ერთის სიტყვით, რასაც ცხადად ჰფიქრობდა, ყოველი-

დარჩა 7. სოფ. იყალთოში 14 სექტემბერს ავად გახდა 4, გარდ. 2.

ახალი ამბავი

⁂ ხოლერამ ბევრი ოჯახი დასტოვა გორის მაზრაში ულუკმა-პუროთ. აი ერთი მაგალითი: ს. ზემოჭალას, ხაშურს ახლო, სცხოვრობდა სოლო თომაძე. სამის წლის წინად ეს თომაძე გულ-დადებით უვლიდა ინფლუენციით ავადმყოფთ და აგრეთვე ეხლაც ხოლერიან ავადმყოფთ შველოდა. მოძმისათვის თავ-გადადებულს თომაძეს ხოლერა შეხვდა და წუთი-სოფელს გამოასალმა. საბრალოს დარჩა ცოლი, ოთხი შვილი და მოხუცებული, 120 წლის დედა. მთელი ეს ოჯახი დიდსა და გამოუთქმელს სიღარიბეშია.

⁂ 18 სექტემბრიდგან 1892 წ. ქალაქის გამგეობამ დააწესა შემდეგი ნიხრი: ხორცი 1 ხარისხისა გირვანქა 6 კ. სუკი 12 კ., ცხვრის ხორცი გირვანქა7 კ.

⁂ საბაზრო პოლიციამ პარუმბეგოვის ქარვასლის მოიჯარადრეს (ვარანცოვის ქუჩაზედ) არუთინ აივაზიანცს უპოვნა რამდენიმე დაღ დაუსმელი საწონი ქვა. ეს ქვები ასწონეს და აღმოჩნდა, რომ ერთს ფუთიანს ქვას ათი მისხალი აკლდა, მეორესა—ორ ფუთიანს 36 მისხალი და მესამესა—24 მისხალი. არუთინ აივაზიანცი სამართალში მისცეს.

⁂ 16 სექტემბერს რკინის გზის მოხელეთ გააცილეს კასპის სადგურამდე სასტატისტიკო ამ გზის განყოფილების უფროსი, ბ-ნი ლ. დრობნი, რომელიც გადაყვანილ იქმნა ვარშავას. გამცილებელთა შორის იყო თვით ბ-ნი ფრიდეც. ვაგონში შამპანურით გაუმასპინძლდნენ ბ-ნს დრობნის და ვიდრე კასპში ჩავიდოდა მატარებელი, არ შეწყვეტილა მხიარულება და სადღეგრძელონი. გამოთხოვების დროს ბ-ნმა გრ. არისტაკესოვმა ქართულად უთხრა სიტყვა, ლექსად დაწერილი ბ-ნს დრობნის, რომელსაც კარგად ესმის ქართული და დიდს პატივსაცა სცემდა ქართველობას.

⁂ გუშინ ტფილისის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ ტფილისის დოლის საზოგადოებას გაუგზავნა ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი. ამ მედლებით ცხენების გამოფენაზედ ექსპერტების კომისიამ უნდა დააჯილდოოს ის ექსპონენტები, რომელნიც კარგად უვლიან და კარგად ინახავენ ცხენებს.

⁂ ტფილისში მკურნალთა სიტყვით, ინფლუენცას გარდა, ამ ჟამად ბევრნი ხდებიან ავად „ხოლერინათი“. ამ უკანასკნელის სენით ავადმყოფები ძალიან ადვილადა რჩებიან.

⁂ წელს, როგორც ჩვენ შევიტყეთ, ტფილისში ცირკი აღარ იქნება, რადგანაც ცირკის შენობა, რომელშიაც შარშან წარმოდგენებსა ჰმართავდნენ, ძალზედ დაძველებულა და ამის გამო ბ-ნი პოლიცმეისტერი ამ შენობაში თამაშის ნებას არ აძლევს და ახალის ცირკის აშენების დროც გადასულია. ბ-ნ ტრუცცმა და სოლომონოვსკიმ, რომელთაც ცირკი ოდესასა და მოსკოვში აქვთ და რომელთაც უნდოდათ ტფილისის ცირკის იჯარით აღება, ამისა გამო გაანებეს თავი მოლაპარაკებას ცირკის იჯარით აღების შესახებ.

⁂ ახლად დანიშნულმა გზათა მინისტრმა ბ-ნმა ვიტტემ, იმას გარდა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს და სახელმწიფო რკინის გზების ინსპექტორს ბ-ნს გრაჩოვს დეპეშით უბრძანა, დაწვრილებით დაათვალიერეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზა ბათუმიდგან სადგურ ხაშურამდე დ გვირაბიო, დეპეშითვე მოსწერა კავკასიის გზაცა უწყების უფროსს ბ-ნ სტატკოვსკის, საჩქაროდ დაათვალიერეთ გზა ხაშურიდგან აბასთუმნამდეო.

⁂ ჩვენის ბანკის თეატრი აიღო იჯარით არტისტმა - ქალმა მ. მ. საფაროვისამ, რომელსაც უნდა მოიწვიოს ამ საზამთროდ მოსკოვიდგან სადრამო და საოპერეტო დასი.

⁂ მართალია გამოცხადებული იყო, რომ დღეს, 20 ენკენისთვეს, დაიწყება ქართული წარმოდგენებიო., მაგრამ ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ დღეს წარმოდგენა არ იქნება. ამბობენ, ვიდრე სამადლობელს პარაკლისს არ გადიხდიან ხოლერის განელების გამო, წარმოდგენების გამართვის ნებას არავის მისცემენო.

⁂ ამას წინად ხაშურში გაძარცვეს და მოჰკლეს ერთი ინჟენერი, რომლის მკვლელები ვერ აღმოაჩინეს მაშინ. ეხლა ტფილისის პოლიციის მეექვსე განყოფილების ბოქაულმა აღმოაჩინა, რომ ინჟენერი მოუკლავთ ოთხ თათარს, რომელთაც გვარები უკვე შეუტყვიათ. ამასთანვე გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ამ მკვლელებში სამნი სპარსეთში გაქცეულან, მეოთხე-კი ისევ საქართველოში იმალებაო.

⁂ ამ დღეებში ს. კვერნაულში, თიონეთის მაზრაში, დიდი ჩხუბი იყო. იქაური მცხოვრები ზაქარა, გიორგი და იოსებ წიკლაურები და ჰრელა ბეკახერი წაეჩხუბნენ თავიანთს მეზობლებს: კვირიკას, მიხეილს, გიორგის და გაბრიელს წიკლაურებსა და ეფრემსა დ იორდანე გაბიდაურებს. ამ ჩხუბში კეტებით თავი გაუტეხეს ზაქარას, გიორგის და კვირიკა წიელაურებსა და ხანჯლით დასჭრეს ეფრემ გაბიდაური და დავით წიკლაური.

⁂ ამ დღეებში გორის მაზრის სოფ. კარნისში თ. ხერხეულიძის ტყეში კონსტანტინე ტასოშვილი მუშაობდა; ამ დროს მივიდნენ მირმანოზ გაკოვი, ბარსო გოგიშვილი და უთხრეს, შენ ნება არ გაქვს აქ მუშაობისაო, რადგანაც ეს ტყე ჩვენ გვეკუთვნისო. ტასოშვილმა არ გაუგონა და მუშაობას თავი არ დაანება. მაშინ ბარსო გოგიშვილმა დაუწყო თავში კომბლით ცემა და იმდენი სცემა საცოდავს, ვიდრე სული არ ამოხდა.

⁂ სოფელ ქიჩაკ-ამმალში, არეშის მაზრაში, ღამე 17 სექტემბერს მოჰკლეს იქაური მემამულე, შუშას მცხოვრებ ანდრონიკე ვართანესოვი.

⁂ სოხუმი: ამ ჟამად უკვე შეუდგნენ ნოვოროსიისკსა და სოხუმის შუა გზატკეცილის გაკეთებას.

⁂ ოზურგეთი: გურიის სახალხო წიგნთ-საცავს ბ-ნმა ნიკოლოოზ ბესიანის ძემ ღოღაბერიძემ შემოსწირა ხუთი თუმანი.

⁂ საჩინო (ქუთაისის მაზრა): 1 სექტემბერს, რომელსაც აქ უწოდებენ „დადექობას“ და დღესასწაულობენ სოფ. შვამთას, თავზედ ხელ-აღებულმა ვაჟბატონებმა მოჰკლეს წვრილშვილის პატრონი გლეხი ფსხილაძე და დასჭრეს სამი კაცი. 8 სექტემბერს „ღვთის-მშობლობა“ დღეს სოფ. ინაშოურს „ჯარში“ მოჰკლეს მჭედელი ღვინიაიძე და დასჭრეს მძიმედ: ცხრა კაცი და სამი ქალი. იმავე დღეს სოფ. სალომინაოს მოჰკლეს კიდევ ერთი კაცი.

⁂ ბათუმი: 18 სექტემბერს ღამის 3 ს. 30 წ. აქ უცებ მოედო ცეცხლი რკინის გზის სხვა-და-სხვა მასალის საწყობს და იმოდენა საქონელი სულ გადიწვა. ცეცხლი გააქრეს დილის 7 საათზედ. ჯერ არ იციან, ცეცხლი საიდგან გაჩნდა.

⁂ განჯა: 18 სექტემბერს, ღამე, როდესაც საქონლის მატარებელი № 48 უჯარმიდგან განჯას მიდიოდა, გზაში ვიღამაც გასტეხა ვაგონის კარი და მოიპარა 5 ფუთი და 20 გირვანქა წებო.

⁂ 17 სექტემბერს იარმუკაში ძაღლმა დაჰკბინა კოლეჟსკი ასესორის მელიქოვის შვილი ვლადიმერი და ელიაზაროვის შვილი არტაშესი. ძაღლი გაიქცა და, როგორც სჩანდა, ცოფიანი უნდა ყოფილიყო. დაკბენილნი საბაქტერეოლოგიო სადგურში გაჰგზავნეს.

⁂ 18 სექტემბერს ელისაბედის ქუჩაზედ ლუიზა მადერის სახლის შენების დროს მეორე სართულიდგან გადმოვარდა ხურო აისორი აბრამ ივანოვი და იქვე გარდაიცვალა.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: შტაბს-კაპიტნობა პორუჩიკს თ. ვაჩნაძეს; პორუჩიკობა პოდპორუჩიკებს: ქავთარაძეს და ფურცელაძეს; კაპიტნობა: შტაბს-კაპიტანს ხოსიტოვს; პორუჩიკ ჩხეიძეს შტაბს-კაპიტნობა; პოდპოლკოვნიკ გედევანოვს პოლკოვნიკობა.

დანიშნულ იქმნენ: ბაქოს საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის თანაშემწე ჩიკვაიძე იმავე სასწავლებლის შტატს გარეშე მასწავლებლად; ნესტორ მენაბდე დაინიშნა დარუბანდის სასწავლებელში მასწავლებლის თანაშემწედ, ანდრია გომელაური—ახალ ბაიაზეთში.

გადაყვანილ იქმნენ: ზედამხედველი კახის ორ-კლასიან ნორმალურ სასწავლებლისა ყიასაშვილი ალიუუენის სასწავლებლის ზედამხედველად და თანაშემწე ახალციხის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლისა, ჯაფარიძე—თანაშემწედვე გორის სასწავლებელში.

სტავროპოლის გიმნაზიის მასწავლებელი, კოლეჟსკი სოვეტნიკი ბარძიმაშვილი გადაყვანილ იქმნა ეისკის რეალურ სასწავლებლის შტატ გარეშე მასწავლებლად; ამავე სასწავლებლის მასწავლებელი გრიგოლ სარგიჯიანცი—სტავროპოლის გიმნაზიის შტატ გარეშე მასწავლებლად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ხონის საოსტატო სემინარიის მასწავლებელი ხმალაძე.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

დეპეშამ გვაუწყა, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს შემოიღოს მარილის ბაჟი და თამბაქოსა და არყის მონოპოლიაო. ეხლა ეს ამბავი გაზეთ „Бирж. Вѣдом.“-შია დაბეჭდილი და აი რას ამბობს ეს გაზეთი ამ მარილის ბაჟისა და თამბაქოსა და არყის მონოპოლიის შესახებ:

> მარილის ბაჟი გაუქმებული იყო ნ. ხ. ბუნგეს მინისტრობის დროს. ბუნგეს აზრით, მარილის ბაჟს სარგებლობა არ მოჰქონდა ფინანსთა სამინისტროსთვის და ხალხსაც-კი მძიმე ტვირთად ედებოდა.

ამ ჟამად-კი დამტკიცდაო, ამბობს „Бирж. Вѣд.“, რომ მარი-

ვე ის ძილშიაც წარმოუდგა ლადოს გონებას... გამოეღვიძა... წამოდგა... საათი გასინჯა და სთქვა, ცოტა არ იყოს დამგვიანებია კიდეცაო. მართლაც, იმ დროს გაეღვიძა ლადოს, რომ კლუბში საზოგადოება უკვე შეკრებილი იყო და ჩვენი ნაცნობი მამასახლისი ახალის წევრის მიმატების და იმის ვინაობის ამბავს მოუთხრობდა იქ მყოფთ. Настоящій дментльменъ-იაო, ამბობდა მამასახლისი, იმ სასწავლებლიდამ ისეთი არაფერი მინახავსო და სხვ.

ლადომაც არ დაახანა ბევრი. მოირთო და ჯერ პარიკმახერთან გასწია. თმა დაახუჭუჭებინა, ულვაშები გააწკეპინა, წვერი „ბულანჟედ“ გააკეთებინა, ცხვირის ნესტოები გამოაწმენდინა, ბოლოს ო-დე-კოლონი აპკურებინა და კლუბისაკენ გაეშურა.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა მოხდა იმ ღამეს კლუბში, რადგანაც მეორე დღეს საზოგადოება ლადოს აქებდა და ლადო საზოგადოებას ამკობდა. ამ ნაირად გაიჩარხა საქმე. ლადო ყველა ოჯახში და განსაკუთრებით ისეთში, სადა გასათხოვარი ქალი იყო, სასურველი სტუმარი შეიქმნა. კლუბს ხომ ერთ ღამესაც არ დააგდებდა უნახავად. წვეულება ხომ ისე არ გადიხდებოდა, თუ ლადო არ იყო პირველი კაცი. ერთის სიტყვით, ლადო ისე შეიერთა და შეიკავშირა საზოგადოებამ , როგორც „ძვალი ძვალთა მისთაგან და ხორცი ხორცთა მისთაგან“. ეს სიკეთე საზოგადოდ ყველას ემართება, ვინც-კი ტვინითა და განვითარებით ცოტა მაღლა არა სდგას იმ უსაგნო და უაზრო ხალხზედ, რომელიც ჩვენი კურთხეულის ქვეყნის დაბა-ქალაქებში „ინტელიგენციად“ ასაღებს თავის თავს მარტო იმიტომ, რომ დღით სძინავს და ღამით ფხიზლობს. მაგრამ ჩვენ ხომ ლადოზედ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, მაშასადამე, მასვე ვადევნოთ თვალ-ყური, გავა ფონს, თუ არა.

რაკი ლადომ გადასწყვიტა გულში, რომ დიდებული კაცი ვარო, და რაკი სადღაც იმისათვისაც მოეკრა ყური, რომ დიდებულ კაცებს დღიური ჰქონდათ, ამანაც გაიჩინა დღიური და წერა დაიწყო.

დღიური იმ დროდამ იწყებოდა, როცა ლადო კლუბში საზოგადოებას გაეცნო. თუ მკითხველის სურვილიც იქნება, მოვიყვანთ რამდენსამე ალაგს ამ დღიურიდგან.

25 მარიამობისთვე. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ამისთანა ქალაქში დამნიშნეს. ქალაქი კარგია და უკეთესი იქმნებოდა, რომ ერთი დიდი недостатокъ-ი არ ჰქონდეს. პარიკმახერი არა ჰყავს კარგი. თმა ვერ დამიხუჭუჭა ხეირიანად. ქალაქი ხომ ქალაქია და ქალები... ამათი ქება კალმით არ დაიწერება. გამაგიჟეს. აი სად ყოფილან განათლებული ქალები! ყველა რუსულად ლაპარაკობს, ყველამ ტანცაობა იცის. ყველას свобода უშოვია თავის ქმრებისა და მშობლებისაგან. ახლავე გადაწყვეტილი მაქვს, რომ დიდი успѣхъ-ი მექნება...

26 მარიამობისთვე. აქაურის ქალაქების კარგი свойство между прочимъ ისიც ყოფილა, რომ вкусъ-ი ჰქონიათ. როგორც შევატყე, меня просто обожаютъ. აღარ ვიცი, რომელ ერთს გავუკავალერდე...

27 მარიამობისთვე. ერთის явленіе-ს მიზეზი აღმოვაჩინე. ნასვამი კაცი ხომ უფრო თამამია. ღვინის ბრალი ყოფილა, წუხელ ცოტა გადაკრული ვიყავი და ერთ ქალს ისეთი რამეები ვუთხარი, რომ სხვა დროს ვერას გზით ვერ გავბედავდი...

28 მარიამობისთვე. ყველაფრით ბედნიერი ვარ. არც დარდი მაქვს, არც მწუხარება. არაფერი არ მაწუხებს ამ ქვეყნად, გარდა ბაღლინჯოებისა. Другого исхода нѣтъ, ბინა უნდა გამოვიცვალო.

29 მარიამობისთვე. რაც აქ მოვედი და აქაური ქალები გავიცანი, მას აქეთ ნატოსა და კატოს ვადარებ ერთმანეთს და ერთი მეორეს ვერ დავამჯობინე. ორივე მშვენიერებაა.Итакъ, ერთსაც უნდა გამოვუცხადო სიყვარული და მეორესაც...

30 მარიამობისთვე. ვერაფერში დავემდურები ღმერთს. ყველაფრის დიდი ნიჭი და შნო მოუცია ჩემთვის, მაგრამ ერთი-კი დავიწყებია იმ მადლიანს. ძალიან მინდა კომპლიმენტი ვუთხრა ქალებს, მაგრამ ვერც რუსულად ვახერხებ, ვერც ქართულად. Просто не удается! А для кавалера это крупный недостатокъ...

31 მარიამობისთვე. დალახვრა ღმერთმა, ამ ქალაქს თურმე ტყუილად ვაქებდი. გროშად არ ღირებულა. მთელს დღეს ვირბინე და ხეირიანი „პომადა“ ვერ ვიშოვე. არც გლიცერინი ჰქონდათ ხეირიანი. Безъ комплимента еще можно обойтись, а безъ помады и глицерина не мыслимо...

5 სექტემბერი. ნატო მიუკარებელი ქალი ყოფილა. ვერაფერი გავაწყე. ვგონებ, თავიც მოვაბეზრე. „გაუთლელი ყოფილხარო,“ მითხრა. ეს სიტყვა, какъ я полагаю, იმის ნიშანია, რომ არ მოვსწონვარ. გაუთლელი! კიდევ კარგი, რომ უზრდელი არ დამიძახა. გაუთლელი болѣе деликатное выраженіе...

8 სექტემბერი. კომპლიმენტს თქვენი ჭირი წაუღია. ლექსის დაწერა თურმე სულ არ შემძლებია. საარშიყო ლექსის დაწერა მაინც ყველაზედ ძნელი ყოფილა. ნატო, წყეულო ნატო! იმასთან ულექსოდ ვერაფერს გავაწყობ. ერთი ჭირი მარგებელიაო, ნატოს ჯიბრზედ პოეტობა უნდა ვისწავლო...

აი ასეთის მარგალიტებითა და სიბრძნით არის გადაჭრელებული ლადოს დღიური.

ნატოს შესახებ ლადო მართლა აღარ ხუმრობდა. თუმცა „პოეტობა ვერ ისწავლა“, ე. ი. პოეტი ვერ გახდა, მაგრამ შემდეგ ხანგრძლივის ოფლის ღვრისა და ჰაპან-წყვეტისა ერთი რითმით კოჭლი, გრძნობით უმი და

ლის ბაჟის გაუქმებით ხალხს არა მოემატა-რა და სახელმწიფოს-კი ყოველ წლივ 20 მილიონი მანათი შემოსავალი აკლდებაო.

რაც შეეხება თამბაქოსა და არყის მონოპოლიას, იგივე გაზეთი სწერს:

> ამ საქმის შესახებ მსჯელობა ჰქონდა 1888 წელს ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებულს კომისიას, რომელმაც თუმცა სასარგებლოდ სცნო ეს მონოპოლია, მაგრამ ისიც დაასკვნა, რომ მონოპოლიის შემოღება ჯერ-ჯერობით ძლიერ ძნელია, რადგანაც ამ საქმისთვის ძლიერ ბევრი ფული დაეხარჯება სამინისტროსაო.

მარილის ბაჟისა და თამბაქოსა და არყის მონოპოლიის შემოღების წინააღმდეგ ბევრი რამ ითქმის. ამ საქმის შესახებ დიდი მსჯელობა ჰქონდა ფინანსთა სამინისტროს ი. ა. ვიშნეგრადსკის მინისტრობის პირველ ხანებში, მაგრამ სამინისტრომ ეს პროექტები არ შეიწყნარა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგივე მოსაზრებანი, რომელმაც ძველ სამინისტროს უარი ათქმევინა ამ პროექტების ასრულებაზედ, ახლაც ხელს შეუშლის მარილის ბაჟისა და თამბაქოსა და არყის მონოპოლიის შემოღებას.

**

გაზეთ „მწყემსში“ დაბეჭდილმა ვაჟა-ფშაველასა და პეტერბურგის სტუდენტთა შორის მიწერ-მოწერამ რუსული გაზეთებიც აალაპარაკა. ზოგი რას ამბობს და ზოგი რას: გაზეთი „Т. Л.“-ი სწერდა:

> ჩვენა გვგონია, რომ ვაჟა-ფშაველამ გრაფ. ტოლსტოის მიჰბაძა და ამიტომ ურჩევს სტუდენტებს, სწავლას თავი დაანებეთ და სოფლად იმუშავეთო.

გაზეთმა „Нов. Обоз.“-მაც რაღაც უცნაურის გამჭრიახობით ამოიკითხა ვაჟა-ფშაველას წერილიდგან, ვითომ იგი უარსა ჰყოფდეს სწავლა-განათლებასა და ურჩევდეს ქართველს სტუდენტებს, სწავლას თოხით მუშაობა სჯობიან, და ამიტომ წიგნები გადაყარეთ და თოხს მოჰკიდეთ ხელიო. შეთხზა რა ეს „Нов. Обоз.“-მ, დიდის ღრმა-აზროვანებით ამტკიცებდა, რომ ორჯელ ორი ოთხიაო, ესე იგი სწავლა-განათლება ქართველებისათვისაც საჭირო არისო.

გაზეთი „Нов. Вр.“, ჰბეჭდავს რა ვაჟა-ფშაველას წერილს, დასძენს თავის მხრივ:

> უმეტესი ნაწილი სტუდენტობისა უნივერსიტეტის კასსის ვალებს არ იხდის და როცა სტუდენტები თავისს ფულს სთხოვენ მოვალეებს, ესენი პასუხსაც არ აღირსებენ ხოლმე. ბ-ნი ვაჟა-ფშაველა ასე არ მოიქცა და პასუხი მისცა სტუდენტებს.

აი ამ პასუხის პირველი სიტყვები:

> „ბატონებო! ფრიად ვწუხვარ, რომ თქვენს თხოვნას ვერ ვასრულებ უქონლობისა გამო, რასაკვირველია“...

და უკანასკნელი სიტყვები ამავე წერილისა:

> „თუ ვაჟა-ფშაველა არა თაკილობს, ხმარობს თოხსა და ნიჩაბს, გუთანს იჭერს, მაგათ რატომ აღარ უნდა იკადრონ?!“

ეს სიტყვები, სრულიად ამართლებს ვაჟა-ფშაველას, ხოლო დანარჩენი ლაპარაკი პოეტისა სრულიად მეტია და საქმეს არ შეეხებაო, ამბობს გაზეთ.

რუსეთი

ფინანსთა სამინისტროს გაწერილ გარდასახადთა დეპარტამენტი შეუდგა იმ ადგილების რუკას შედგენას, რომელიც დაზარალდა კალიისა და სხვა მავნებელ მწერთაგან. ასეთი რუკები შემდეგშიაც იქმნება შედგენილი, რათა გამოირკვეს, რა ზარალი მოაქვს სხვა-და-სხვა მავნებელს მწერს და აგრეთვე რა მნიშვნელობა აქვს იმ ღონისძიებათ, რომელიც სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა ადგილს ხმარებულ იქმნა კალიისა და სხვა მავნებელ მწერთა წინააღმდეგ.

—გაზეთი „Новости-ი გვაუწყებს, რომ ვიშნევოლოცკის მაზრის სოფელ მარინოში მომხდარა ფრიად სამწუხარო ამბავი: იქაურს მცხოვრებელს, სამოც-და-ოთხის წლის ივანე დანიილოვს დანით დაუჭრია თავის შვილიშვილები—რვა თთვის ქალი და ორის წლის ვაჟი და ნახევრად გადუჭრია ყელი ცოლისათვის, სამოც-და-ათის წლისავე მოხუცისათვის. ეს ამბავი მომხდარა შემდეგ გარემოებათა შორის: წელს, თებერვალს მის დაცოლშვილებულს ვაჟს ორივე ხელი დაეთოშა თურმე. გაცხარებულმა მამამ დაჰკარგა იმედი თავის ვაჟის მორჩენისა და რამდენისამე წლის განმავლობაში შეძენილი ფული 2,500 მ. დაუმტკიცა რძალს. მოხუცი მალე მოვიდა გონს, მაგრამ გვიან-ღა იყო: რძალმა ფული არ დაუბრუნა, რის გამოც ძლიერ დაფიქრებული და დაღონებული დადიოდა. იმ ხანად ამას ზედ ისიც დაერთო, რომ პურიც ძლიერ იაფად გაჰყიდა. ყოველმავე ამან ძლიერ იმოქმედა მოხუცებულზედ და კინაღამ ჭკუაზედ შესცდა. ორშაბათს, 31 მარიამობისთვეს, როდესაც რძალიცა და ვაჟიც ტყეში იყვნენ წასულნი და სახლში მხოლოდ იყო მოხუცებული ქალი თავის შვილი-შვილებით, ქმარმა საკუჭნაოდგან ამოიღო დიდი დანა და მიუახლოვდა ყმაწვილის აკვანს. ცოლს ეგონა, რომ ჩემს ქმარს სურს აკვანი დაარწიოსო და ამისათვის ყურადღება არ მიაქცია. დანიილოვმა ისე ჩუმად დაჰკლა ყმაწვილი, რომ ხმაც არ ამოუღებინებია; შემდეგ თვალი მოჰკრა იქვე მოთამაშე მეორე შვილიშვილს, ვაჟს, და იმასაც ყელში დანა დასცა. ეს შენიშნა მოხუცებულმა ბებიამ და მოინდომა ყმაწვილის წართმევა, მაგრამ გამძვინვარებული კაცი მოუბრუნდა და ნახევრამდე იმასაც ყელი გადასჭრა. დედაკაცმა დაიწყო ყვირილი: მიშველეთო! მართლაც ამ ყვირილზედ მეზობლები მოეშველნენ და დამნაშავეც შეიპყრეს.

—„Переводчикъ“-ი გვიამბობს შესანიშნავ ამბავს, რომელსაც უწოდებს თითონ სახელად: უნებური ორ-ქმრიანი და ანუ ობოლი ორის მამის ხელში!.. წასულს წელს სოფლად დ. იალტას მაზრაში ვიღაც მაჰმადიანი ქალი მისთხოვდა ერთს მაჰმადიან ვაჟს, მაგრამ ვიდრე ქმარი დაეპატრონებოდა, „ქალი“ წაიყვანეს მახლობელ სოფელში, სადაც იმყოფებოდა მეორე საქმრო ამ ქალისა. იმ სოფლის მოლა ყოფილიყო დიდად გულკეთილი კაცი, პირველი ქორწინება გაეუქმებინა და მეორედ დაექორწინებინა. თუმცა ამის გამო სოფელმა ბევრი იშფოთა და იბორბოქა, მაგრამ მაინც ახლად შეუღლებულები შეუდგნენ ტკბილს ცხოვრებას.

ამ დროს პირველმა ქმარმა შეიტანა საჩივარი სასულიერო სასამართლოში და ითხოვა, რომ, რადგანაც პირველად მე დავქორწინდი, მეორე ქორწინება უკანონოა და ქალიც მე უნდა დამიბრუნდესო.

სასამართლომ განიხილა საქმის გარემოება და სამართლის აღმოჩენის შემდეგ გადასწყვიტა: ქალი დაუბრუნდეს პირველს ქმარს, როგორც კანონიერად დაქორწინებულს, და მეორე ქორწინება-კი უკანონოდ ჩაითვალოს. მოლას-კი, როგორც უკანონოდ დამაქორწინებელს, მიუსაჯეს, რომ შვიდის დღის განმავალობაში ასუფთაოს და ჰგავოს დერვიშების სადგომი სახლი, რომელიც იმყოფება სიმფეროპოლის მაზრაშიო.

უცხოეთი

საფრანგეთი. პრინცმა ვიქტორ ნაპოლეონმა საპლებისციტო კომიტეტს მიჰმართა პროკლამაციით 22 სექტემბრის იუბილეის შესახებ. პრინცი სწერს სხვათა შორის: „ჰსურთ იდღესასწაულონ 1792 წლის 22 სექტემბრის ასის წლის თავი, ვითომ და იმიტომ-რომ ამ დღეს გამოცხადდა რესპუბლიკაო. მაგრამ ამასთან ის-კი ავიწყდებათ, რომ სწორედ ამ დღეს უფრო დიდებული აზრი და პრინციპი გამოითქვა, ვიდრე თვით რესპუბლიკის გამოცხადებაა. პარლამენტარობის იმ დროის მომხრენი ერთის თავის საუკეთესო წარმომადგენელის პირით აცხადებდნენ: „იმის თქმა, ვითომ „ერს მივმართოთო“, ვერაფერი სიტყვაა და პოლიტიკოსობის მხრივაც მოსაწონი არ არისო“. პრინცი ნაპოლეონი საყვედურს ეუბნება რესპუბლიკის მომხრეებს, ყურადღება არ მიაქციეთ და უკუ აგდეთ „ერის ნება და სურვილიო“, და სცდილობს დაამტკიცოს, რომ მხოლოდ ნაპოლეონები განახორციელებდნენ დედა-აზრს, 22 სექტემბერს გამოცხადებულსაო.

ამის შესახებ გაზ. „Temps“-ი შენიშნავს: „საპლებისციტო თეორიას არავითარი ფასი არა ჰქონდა მამისათვის და შვილი ხომ სულ არაფრად აფასებს. მისთვის ეს ძველი, ჩვეულებიდგან გადავარდნილი ბუზმენტიანი ტანთსაცმელია, რომელსაც დაობებულ სკივრიდგან ამოიღებენ ხოლმე სამასკარადოდ. ბონაპარტიზმი პლებისციტს იმ ღრუბლადა ჰხმარობს, რომლითაც ავაზაკობის კვალსა ჰშლიან. ნაპოლეონები ამ საშუალებას არასოდეს არ მიჰმართავდნენ ხოლმე უფლების მოსაპოვებლად და მხოლოდ მაშინ ჰხმარობდნენ იარაღად, როდესაც სახელმწიფოს წესწყობილების შეცვლა უნდოდათ გაემართლებინათ. „ერს მივმართოთო“-ს ბონაპარტიზმისათვის მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ საარჩევანო ყუთები ხელთ აქვს ჩაგდებული. საიმპერატორო პლებისციტი იმ ბარათსა ჰგავს, რომელზედაც ავაზაკი თავისს მსხვერპლს ძალათი მოაწერინებს ხოლმე ხელს, ჩემის ნებით მივეცი ყველაფერიო, რაც-კი ავაზაკს წაურთმევია. აი, ამ სისტემას პრინცი ვიქტორი საყოველთაო კენჭის ყრის განთავისუფლებას უწოდებს და მის დასაბრუნებლად ფულსა და ერთგულებასა თხოულობს. ეტყობა, პრინცს დრო შესცდენია: ერის გულ-უბრყვილობა დიდი ხანია ჩაილულის წყალმა წაიღო“.

ოსმალეთი. დეპეშამ უკვე გვაუწყა ამას წინად, რომ სტამბოლიდგან 2,000-მდე სოფთი (სტუდენტი) გააძევეს, გემებში ჩასხეს და არავინ იცის, სად წაიყვანესო. ოფიციალური ცნობა იუწყება, სოფთები იმ მიზეზით განაძევეს, რომ სასწავლებლები ავსებით სავსე იყოო. მთავრობას გაზეთების კიცხვისა ეშინოდა და მეორე დღეს ყველა ოსმალეთის გაზეთი აკრძალა. „Vossische Zeitung“-ი

აზრით უხამსი ლექსი მაინც შეხანხლა და ნატოს უძღვნა.

ნატო ცოტა არ იყოს ეშმაკი ქალი იყო. ახალგაზდების ათამაშება უყვარდა. აიღევნებდა ახალგაზდებს, გაიარშიყებდა, თაყვანის-მცემლად გაიხდიდა, მაგრამ, როცა საქმე საქმეზედ მიდგებოდა, თავს შორს დაიჭერდა და მასთან უსათუოდ სასეიროს რასმეს გამოატყვრენდა. ასე მოექცა ლადოსაც, რომელმაც ასეთი მოკლე და გადაჭრილი პასუხი მიიღო ნატოსაგან:

> ბედითი ბნედა, სიკვდილი
> რა მიჯნურობა გგონია,
> სჯობს საყვარელსა უჩვენე
> საქმენი საგმირონია.

ლადომ წაიკითხა ეს პასუხი და ყურები ჩამოჰყარა. დაფიქრდა: ეს რა ღვთის წყრომაა, რა საგმირო საქმეს მიკვეთს ეს დედაკაციო. კიდევ კარგი, რომ, ამისთანა ლექსის დამწერს, ჩემი დაბღაჯნილი ლექსი მოეწონა და პასუხის ღირსი გამხადაო. საბრალო ლადომ არ იცოდა ალბად, თუ ეს ლექსი ნატოს ტვინის ნაწარმოები არ იყო, და ამის გამო სრულიად დაემონა ნატოს ყოვლად-შემძლებლობას.

როგორც იყო გაბედა, და პირის-პირ მოელაპარაკა ნატოს. რით შემიძლიან გემსახურო და ან რა საგმირო საქმეს მოითხოვ ჩემგან, რომ თავი შეგწირო.

ნატომ წინდაწინვე იცოდა, რომ ეს ასე მოხდებოდა და პასუხიც მზად ჰქონდა.

„მართალია, ჩემო ლადო, კარგი ვაჟკაცი ხარ. დასაწუნი არაფერი გაქვს, მაგრამ... მაგრამ უნდა იცოდე, რომ მეც მეტის-მეტად პატივ-მოყვარე ქალი ვარ. ჩემს პატივ-მოყვარეობას ვერ აკმაყოფილებს მარტო შენი ვაჟკაცური შეხედულობა. ვაჟ-კაცმა ვაჟკაცური რამ უნდა ჩაიდინო ისეთი, რომ მთელი ქვეყანა შენზედ აალაპარაკო. თითით საჩვენებული უნდა გახდე. მაშინ ჩემთვის თავმოსაწონი იქნება შენისთანა კაცთან საქმის დაჭერა. მაშ, თუ ნატო რამე მიგაჩნია, ეცადე რითიმე განირჩეოდე დანარჩენ კავალერებისაგან“.

ამ ამბავმა ლადო ძალიან დაალონა და დააფიქრა. მზად იყო თავი გაეწირა, მაგრამ რომ არ იცოდა, რა ჩაედინა ნატოს მოსაწონი საგმირო საქმე. ბოლოს, თავის თავად რო ვერაფერს გახდა, ამხანაგს გაენდო. ასე და ასეა ჩემი საქმე და რას მირჩევო.

ეს ამხანაგიც არ იყო გულ-წრფელი კაცი და ამანაც სეირის ყურება მოინდომა.

ამას რა დიდი ფიქრი უნდაო, უთხრა ლადოს. არშიყი კაცი ხარ და ის-კი აღარ იცი, თუ ვინ არის ამ საქმეში შენი ხელ-შემშლელი. შენი-კი არა, საზოგადოდ „გრაჟდანსკი ჩინოვნიკების“ ყელის გამომჭრელი ამ შემთხვევაში აფიცრებია. როგორ ვერ შეგინიშნავს, რომ როცა აფიცერია სადმე, შენ ზედაც არავინ გიყურებს. აფიცრები ჩვენებურ ქალებს ყოვლის შემძლებელი ჰგონია. თუ გინდა ქალების ასეთი აზრი გააბათილო, აფიცერი უნდა დაამცირო იმათ თვალში, ხოლო ეს მაშინ შეიძლება, თუ რომელსამე აფიცერს მოუმიზეზებ რასმეს და ლაზათიანად მიბერტყავ. შენისთანა შეძლებული ვიყო, თორემ აფიცერს, ერთს-კი არა, ორ-ორს გავლახავ ერთად. გააქანე ე ტლანქი ხელები და დალეწე ის ტუტუცები. სხვა რა საგმირო საქმე უნდა გამოგივიდეს ხელიდგან. მე შენ გითხრა, ქიარიმა არ დაიჭირო...

ეს რჩევა ლადოს ჭკუაში დაუჯდა. ამ დღიდგან შეუდგა მიზეზის ძებნას აფიცრებთან და მოუთმენელად ელოდდა იმ დღეს, როცა საგმირო საქმეს ჩაიდენდა და ძლევა-მოსილი ნატოს გამოეცხადებოდა.

ნატოსაც ყურები ჰქონდა დაცქვეტილი, აცა როდის გამოტყვრება სეირიო.

სეირმაც არ დაიგვიანა. ერთ დილას ხმა გავარდა, რომ წუხელ კლუბში „სკანდალი“ მოხდაო. ლადო ქარაფშუტაძეს უნდოდა აფიცრისთვის ეცემნა, მაგრამ არ გაუშვიათო, რო ვერას გამხდარა, სკამი უსროლია, აფიცერს ასცდენია, ლამპარს მოხვედრია და სულ დაულეწია. კინაღამ „პაჟარი“ მომხდარა. ქალებს გული წასვლიათო.

ნატომ ყველაზედ უმალ გაიგო ეს ამბავი და სიცილადაც არ ეყო. აიღო ქაღალდი და ლადოს მისწერა: „ჩემო ლომ-ტარიელო! განა ასეთი საგმირო საქმე შეგიკვეთე! ლამპარს სამი წლის ბავშვი, რამდენსაც გინდა დაამტვრევს. მართლა თქმულა: „არა ჰშვენის ყვავსა ვარდი, ვირსა რქები“.

რა-ღა ამისთვის სცხელოდა ლადოს, როცა სასწავლებლის უფროსმა უთხრა, რომ თუ ეს ამბავი გახდა, ალაგს დაჰკარგავო. ახლაც იმის ფიქრში იყო, რა მოვაგვაროო, რომ ამ ამბავმა უმაღლესის მთავრობის ყურამდე არ მიაღწიოსო. შეურაცხყოფილი აფიცერი დუელში ითხოვდა, კლუბის მორიგე მამასახლისი ოქმს ადგენდა, ნატო, ვისის წყალობითაც მოხდა ყოველივე ეს, გულსაკლავად დასცინოდა... როგორც იყო, მეგობართა და ნაცნობთა დახმარებით, მიაჩუმა საქმე. აფიცრის წინაშე ბოდიში მოითხოვა და „ზაკუსკა“ გაუმართა, კლუბს ზარალი უზღო, ნატოს არშიყობაზედ ხელი აიღო.

ამ ნაირად გეგონებოდათ გათავდა საქმეო. მაგრამ უმტერო სხვა რაა ქვეყანაზედ, რომ ლადო ყოფილიყო. ვიღაც იუდამ ყოვლისავე ამის შესახებ „დანოსი“ აფრინა, სადაც ჯერ იყო. მოხდა გამოძიება. ლადო სასწავლებლიდგან გააძევეს. ეხლა უსაქმოდ დაეხეტება. უწინდელის ნეტარებისა ყველაფერი დაჰკარგა, მხოლოდ ღვინის სმის მადა ისევ დიდი აქვს და, სადაც ქეიფს შეხვდება, ყველგან თამადობს, ყველგან ითვრება.

დათიკო ვერმიცანაშვილი

იუწყება ამის შესახებ, რომ მიზეზი, რასაკვირველია, არც სასწავლებლებში უადგილობაა და არც ქონების სიმცირე, არამედ მიზეზი პოლიტიკაში უნდა მოვძებნოთ. სტამბოლში სოფთები ყოველთვის დიდს მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკაში და არა ერთხელ გამოუცხადებიათ თავისი უკმაყოფილება, როდესაც მთავრობას ახალი რამ ცვლილება შემოუღია, და ქუჩებში უწესოებაც-კი მოუხდენიათ. სასახლეში მომხდარ ცვლილებაშიაც ბევრჯელ რეულან სოფთები. ალბად მთავრობამ ეხლაც რაიმე უწესოების კვალს მიაგნო და იმიტომ განაძევა სოფთებიო.

◆◆

ადერბეიჯანული ანდაზები *)

ბაღში ვიდრე ჭერამ-გარგარს ესხა, მეზობლებიც სალამს მაძლევდნენ, გარგარი გამოილია და ამ სალამმაც თქვენი ჭირი წაილო.

რად მინდა ოქროს თასი, თუ იმისთვის მედგმევა, რომ შიგ პირიდგან ამოღებული სისხლის ნახველი ჩავაგდო; ისევ ის მირჩევნია, ძონძები მეცვას, მაგრამ თავისუფლადკი დავნავარდობდე; რად მინდა აბრეშუმის ტანთსაცმელი, თუ იძულებულ ვიქნები სხვადასხვა შეურაცხება ავიტანო.

ან კლდის ძირს შეაფარე თავი, ან ბეგის კალთას.

ბატონი ბეგები წითელს ალუჩასა ჰგვანან. შორიდგან ჰხიბლავენ ადამიანს, მაგრამ ჩაიდებთ თუ არა პირში, მაშინვე კბილს მოგჭრით.

ყველა მამასახლისად ამორჩეული ჩოჩორი ვერ დააფასებს სოფელს ღირსეულად.

იმის სამართალში-კი ნუ მიხვალ, ვინც გაცინებს, ან გაღრიჯებს, იმის სამართალში მიდი, ვინც გატირებს და აგაცრემლიანებს.

იმას-კი ნუ იტყვი, რაც გისწავლია, ისა სთქვი, რაც შეგიგნია და შეგითვისებია.

მე მორჩილი მონა გახლავართ გაგებულის კაცისა, გაუგებარის კაცის ბატონობაც-კი არა მსურს.

ჭკუა, წლოვანობაში-კი არა, თავშია.

ვისაც სამოცს წლამდე მიუღწევია და თარის დაკვრას მაშინა სწავლობს, ის სამეორედ მოსვლას ისწავლის.

ძაღლს ხვედრად ერთგულება აქვს ნარგუნი, დედაკაცს—ტანჯვა.

ის დედაკაციცა სტირის, რომელსაც ქმარი ჰყავს, და ისიც, რომელსაც არა ჰყავს.

გათხოვილს ქალს ქმარი სცემს, გაუთხოვარს — ღმერთი.

მანამ გასათხოვარი ვიყავ, სულთანის მეუღლედ მიმაჩნდა თავი, დავინიშნე—ხანის მეუღლედ გავხდი, გავთხოვდი-და, მონად შევიქმენ, იმ ფალასად გადავიქეც, რომელზედაც ტალახიანს ფეხებს იწმენდავენ.

თუმცა უსწორ-მასწოროა, მაინც ისიც კარგია—გზაა, თუმცა ავია, მაინც ქმარია.

ცხენის სიკვდილს შემდეგ უნაგირი რჩება, ვაჟკაცის სიკვდილს შემდეგ—სახელი.

მხოლოდ ცხენი შეიძლებს ცხენის წიხლის ატანას, მხოლოდ ძაღლი გაუძლებს ძაღლის კბილს.

ცხენისა და დედაკაცისა დიდი იმედი ნუ გექმნებათ.

ძაღლი უფრო ერთგულია, ვიდრე დედაკაცი.

ძაღლი იმ მხარეს იყეფება, საიდგანაც მტერს მოელის.

ძაღლს გვერდით ბეგსავით გაუარე (ამაყად და თავ-მომწონედ), ბეგს-კი — ძაღლსავით (კუდ-ამოძუებული).

ვირზედ შეჯდომასაც-კი ნუ იუკადრისებ, თუ ამ გზით ცხენზედ გადასკუპვას ეღირსები.

ვირს უთხრეს: „აბა გვიჩვენე, როგორი ზრდილი ხარო?“ ვირი ზურგზედ წამოწვა და მტვერში გაგორდ-გამოგორდა.

იქ, სადაც ცხვარი არ არის, თხას აბდულქიარიმ-აღას ეძახიან.

მშიერს ქათამს ფეტვი ეზმანებოდა.

---

*) ეს ანდაზები შეკრებილია ე. სულთანოვის მიერ და დაბეჭდილია გაზ. „Кавказъ“-ში. მოგვყავს უფრო საყურადღებონი.

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

როგორც მკითხველებმა იციან, ამ ექვსის თთვის წინად დ. სამტრედიაში დაარსდა ქართულ-რუსული წიგნთ-საცავი. ამ წიგნთ-საცავის მდგომარეობა და ავან-ჩავანი დაწვრილებით იყო მოხსენებული „ივერიაში.“ ეს წიგნთ-საცავი არის დაარსებული კერძო კაცის თანხით და რადგანაც ახალი საქმეც არის, ადვილი წარმოსადგენელია, რომ დახმარება ეჭირება მატერიალურის მხრით. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით მივმართო უგულითადესის თხოვნით ჩვენს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, ავტორებს და გამომცემლებს (აგრეთვე კერძო კაცთაც) არ დაიზარონ და ამ ახალს დაარსებულს ბიბლიოთეკას მიაწოდონ თითო ეგზემპლიარი თავ-თავის გამოცემისა. წიგნები შეიძლება გაიგზავნოს ამ ადრესით: Самтреди. Въ библіотеку П. Гелейшвили.

პ. გელეიშვილი

◆◆

დეპეშა

19 სექტემბერი

პეტერბურგი. სანკტპეტერბურგის ბირჟა: გირავნობის ფურცელნი ტფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებისა: 6%—102¼ მსყიდველნი, 5% 99,87 მსყიდველნი; ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციები გაიყიდა 98.

სტამბოლი. პორტას შეუდგენია ნოტა, რომელშიაც ამბობს, რომ ოსმალეთი დიდათა სცემს პატივსა ბერლინის ხელშეკრულებას, როგორც საფუძველს აწინდელის პოლიტიკურის მდგომარეობისას. შემდეგ პორტა ამბობს, რომ სრულიადაც არა სურს არც დარღვევა ბერლინის ხელშეკრულებისა, არც წყენინება რუსეთისა. ოსმალეთის კომისარს სოფიაში ველიდ-ბეის პორტამ უბრძანა, შეეკითხე ბოლგარიის მთავრობას იმის შესახებ, რომ გაზეთ „Свобода“-ში სინამდვილით არ იყო ნაამბობი სტამბულოვის მიღება სულთანის მიერ.

პეტერბურგის ბირჟა, 18 სექტ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,89	7,92	— ,,
ტამოყნის კუპონები .	158	158½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,08	1,10	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	236½
—მეორისა	— ,,	— ,,	217¼
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	— ,,	191½
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობითდილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—110)

იოსებ ი. გოკიელოვის მაღაზიაში
ქუთაისში
ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.
თითო 3 კაპ.
ასობით 2 მ.—50 კ.
აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.
(20—116—9)

ახლად გამართული
პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მირზაშვილისა
იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყება 25 სექტემბრიდამ.
(50—7)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
წელიწადი მეათე
კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.
სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.
სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ავთიაქის პირდაპირ.
პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.
ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—13)

თამბაქოს ფაბრიკა
ნიკოლოოზ ივანეს ძის ბოზარჯიანცისა
ტფილისში
არსებობს 1858 წლიდგან.
მივაქცევ პატივცემულ საზოგადოების ყურადღებას ჩემს ფაბრიკაში საფრანგეთის საუკეთესო ქაღალდით მომზადებულს დაუწებებელს პაპიროსს, რომელიც კეთდება განსაკუთრებულის მაშინებით, ძალიან რიგიანადა და სუფთად. ამ გვარად მომზადებულს პაპიროს, ბ-ნთ მომხმარებლებს სახამებლის არა-სასიამოვნო გემოს აცილებს თავიდგან.
ახალად მივიღეთ დიდ-ძალი საუკეთესო ოსმალეთის სურნელოვანი თამბაქო, რომელსაც პაპიროსადაც ვაკეთებთ, თამბაქოდაც ვყიდით ყოველ შემომკვეთლის გემოვნების, დიდად ზომიერ ფასად.
შემომკვეთლებს შეუძლიანთ მიჰმართონ სასახლის ქუჩაზედ, № 1.
(10—7)

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება
ახალი წიგნი
ვახუშტი ბატონიშვილი
საქართველოს
გეოგრაფია
1 წიგნი
სამცხე
ვახუშტის საზოგადო ,,შესავალი‘‘-თურთ.
გამოცემა
მოსე ჯანაშვილისა
ფასი 25 კაპ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 19-го Сентября 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.